ლიტერატურული წრე, როგორც კომპლექსური შემაჯამებელი დავალების ფორმა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე

სოფიო ქიტესაშვილი
თბილისი, საქართველო
e-mail: kitesashvili.sopio@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.27

შემოთავაზებული აქტივობა „ლიტერატურული წრე“ მორგებულია კომპლექსური შემაჯამებელი დავალების ინდივიდუალურ მოთხოვნებს, ეროვნული სტანდარტის გათვალისწინებით, შესაფერის საფეხურზე.

ცოდნის სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობის მოსწავლეები ერთიანდებიან ჯგუფებში, მაგრამ, ამავე დროს, თითოეულს განსაზღვრული ფუნქცია, როლი, აკისრიათ. დავალება დიფერენცირებულია, რაც მოსწავლის ინდივიდუალურად შეფასების საშუალებას იძლევა, შესაბამისი რუბრიკით. ამ მეთოდის გამოყენებით, ჯგუფის ყოველი წევრი, მისი ცოდნის დონის, შესაძლებლობისა და ჩართულობის ხარისხის გათვალისწინებით, რელევანტურად და ობიექტურად ფასდება.

საკვანძო სიტყვები: „ლიტერატურული წრე“, კომპლექსური დავალება, შემაჯამებელი დაავალება

ეროვნული სასწავლო გეგმა პედაგოგებს, შემაჯამებელი შეფასებისთვის, გვთავაზობს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების მრავალფეროვან აქტივობას, რაც მოსწავლეებს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენების საშუალებას აძლევს. სტანდარტში მოცემულია კომპლექსური დავალებების ვრცელი ჩამონათვალი: დებატები, ლიტერატურული სამსჯავრო, ლიტერატურული წრე, ლიტერატურული სალონი, მინისპექტაკლი, როლური თამაში და სხვ. [ეროვნული სასწავლო გეგმა, 2019-2024:15]

შემოთავაზებული შემაჯამებელი დავალებები არასტანდარტულსა და მრავალფეროვანს ხდის სასწავლო პროცესს, თუმცა კონკრეტული აქტივობების განხორციელების პროცესში მასწავლებლები გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით. ზემოხსენებულ დავალებათა უმრავლესობა ჯგუფური მუშაობის ფორმას მოითხოვს, იბადება კითხვა, ამ შემთხვევაში, რამდენად ობიექტურია ჩვენი შეფასება ინდივიდებთან მიმართებით? როგორ უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჯგუფის ყოველი წევრი, მისი ცოდნის დონის, შესაძლებლობისა და ჩართულობის ხარისხის გათვალისწინებით, იმსახურებს კონკრეტულ შეფასებას? ისიც

გასათვალისწინებელია, რომ შემაჯამებელ დავალებაში განმსაზღვრელ შეფასებას ვწერთ და მოსწავლეებს ინდივიდუალურად ვაფასებთ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ აქტივობა „ლიტერატურულ წრეს“, რომელიც ჯგუფებში განსახორციელებელია და იგი არაერთ მკვლევარსა თუ განათლების სპეციალისტს აქვს აღწერილი, როგორც თანამედროვე მეთოდი. ჩემ მიერ შემოთავაზებული კონკრეტული აქტივობა მორგებულია კომპლექსური შემაჯამებელი დავალების ინდივიდუალურ მოთხოვნებს, ეროვნული სტანდარტის გათვალისწინებით, შესაფერის საფეხურზე.

კლასი დავყოთ ჯგუფებად, რომლებშიც ცოდნის სხვადასხვა დონისა და შესაძლებლობის მოსწავლეები გაერთიანდებიან (მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადანაწილდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში სჯობს, მასწავლებლებმა დავაბალანსოთ ჯგუფები). თითოეულს განსაზღვრული ფუნქცია, როლი, დავაკისროთ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ შესასრულებელი დავალება დიფერენცირებული უნდა იყოს, რაც მოსწავლის ინდივიდუალურად შეფასების საშუალებას იძლევა.

ტექსტის გააზრება - გაანალიზებისა და დისკუსიის პროცესში, ისინი შემდეგ როლებს შეასრულებენ:

• კითხვების დამსმელი - აყალიბებს ისეთ კითხვებს, რომლებიც წარმართავს დისკუსიის პროცესს;

• საკვანძო აზრის გამომხატველი მნიშვნელოვანი ციტატების შემკრები;

• უცხო სიტყვების მძებნელი;

• მკვლევარი (მოიძიებს და გამოიკვლევს ნაწარმოების დაწერის მიზანს, იდეასა და მთავარ სათქმელს);

• პერსონაჟების ხასიათებზე დამკვირვებელი;

• კავშირების დამნახველი (აკვირდება, ნაწარმოები თავისი სათქმელით როგორ უკავშირდება თანამედროვეობას, რამდენად აქტუალურია იგი);

• შემმაჯამებელი (სხვადასხვა კუთხით დამუშავებული ნაწარმოების წარმომჩენი).

• მოსწავლეები ჯგუფებში ერთსა და იმავე ნაწარმოებს აანალიზებენ.

რესურსი: გასაანალიზებელი ტექსტი, თაბახის ფურცლები კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, ლექსიკონები (ქართული ენის განმარტებითი და უცხო სიტყვათა ლექსიკონები), კალმისტრები.

ჯგუფებში კონკრეტული სამუშაოს შესრულების დრო განვსაზღვროთ 15-20 წუთით.

ჯგუფებში შესრულებული ინდივიდუალური დავალებების შემდეგ, მოსწავლეები გადავლენ პრეზენტაციის ფაზაზე.

თითოეული ჯგუფიდან, რიგრიგობით, ერთი და იმავე ტიპის დავალების შემსრულებელნი ვერბალურად წარადგენენ თავიანთ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს (მაგ.: სხვადასხვა ჯგუფის „კითხვების დამსმელნი“ ერთდროულად წამოდგებიან და ინდივიდუალურად წარმოადგენენ შემუშავებულ კითხვებს). ეს მიდგომა თანაბარ მდგომარეობაში აყენებს ყოველ მათგანს. ამ დროს მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამუშაო ფურცელზე მოკლედ ჩამოყალიბებული თეზისებით, გეგმით.

ჯგუფში ზემოხსენებული როლების ყოველი შემსრულებელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადის გამოყენებით, ინდივიდუალურად შეფასდება (იხ. ქვემოთ).

შეიძლება დაიბადოს კითხვა: რა აზრი აქვს მოსწავლის ჯგუფში ყოფნას, თუ ის ინდივიდუალურ დავალებას ასრულებს? - ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მოსწავლეები არ არიან შეზღუდული თანამშრომლობაში, პირიქით, მათ შეუძლიათ ერთმანეთის მიგნება გამოიყენონ. მაგალითად, „კავშირების დანახველს“ შეუძლია გამოიყენოს „მკვლევრის“ მიერ მიგნებული ავტორის მთავარი სათქმელი, ის ხომ სათქმელის ამოცნობაში არ ფასდება, არამედ იმის განსაზღვრაში, რამდენად აქტუალურია კონკრეტული საკითხი თუ პრობლემა დღეს, - თანამედროვეობასთან პარალელის გავლებაში. მთავარია, იდენტური დავალების შემსრულებელნი იყვნენ გადანაწილებული სხვადასხვა ჯგუფში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შემოთავაზებული აქტივობა შეიძლება ადაპტირდეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვისაც, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად. დიფერენცირებული დავალებები შევარჩიოთ ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით.

აღწერილი შემაჯამებელი დავალების განხორციელებისას გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- აღნიშნული აქტივობა (შეფასებითურთ) ერთ გაკვეთილზე სრულყოფილად ხოეციელდება 14-15-კაციან კლასში ან განაყოფში; მრავალრიცხოვან კლასში განსახორციელებლად საჭიროა დაწყვილებული გაკვეთილები;
- განსახილველი ტექსტი არ უნდა იყოს ძალიან ვრცელი (შეიძლება შევარჩიოთ საშუალო მოცულობის მოთხრობა ან ვრცელი ტექსტის საკვანძო თავი).

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

კლასი:____ თარიღი: _____

კომპლექსური შემაჯამებელი დავალების ფორმა: **ლიტერატურული წრე**

თემა: _____

მისაღწევი კომპეტენციები:

ქართ.საბ.1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

ქართ.საბ.2. ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

ქართ.საბ.4. ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.

ქართ.საბ.11. ზეპირმეტყველების, კითხვის, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.

განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმების ბადე:
კითხვების დამსმელი

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	სვამს ისეთ 3 კითხვას, რომლებიც ფაქტობრივ ცოდნაზეა ორიენტირებული	3
II	სვამს ისეთ 3 კითხვას, რომლებიც ორიენტირებულია ტექსტის გააზრებაზე	3
III	სვამს ისეთ 2 კითხვას, რომლებიც გამოკვეთს ტექსტის მთავარ სათქმელს	2
IV	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1
V	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

საკვანძო აზრის გამომხატველი მნიშვნელოვანი ციტატების შემკრები

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	ტექსტიდან ამოკრებს ისეთ 3 ციტატას, რომლებიც გამოკვეთს პერსონაჟების ხასიათს	3
II	ტექსტიდან ამოკრებს ისეთ 2 ციტატას, რომლებიც გამოკვეთს ტექსტის მთავარ სათქმელს	2
III	ტექსტიდან ამოკრებს ისეთ 3 ციტატას, რომლებიც არგუმენტირებისთვის გამოდგება	3
IV	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1

V	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

უცხო სიტყვების მძებნელი

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	ტექსტიდან ამოწერს და ლექსიკონის დახმარებით განმარტავს ისეთ 4 სიტყვას, რომლებიც ტექსტის გაგება-გააზრების გასაღებია	4
II	ტექსტიდან ამოწერს და ლექსიკონის დახმარებით განმარტავს ისეთ 4 სიტყვას, რომლებიც ტექსტის პერსონაჟებს ახასიათებს	4
III	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1
IV	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

მკვლევარი

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	იკვლევს და წარმოადგენს ნაწარმოების მიზანს	2
II	იკვლევს და წარმოადგენს ნაწარმოების იდეას	2
III	იკვლევს და წარმოადგენს ნაწარმოების მთავარ სათქმელს	2
IV	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1
V	გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ვიზუალური კონტაქტი, ჟესტი, მიმიკა და სხვა).	1
VI	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

პერსონაჟების ხასიათზე დამკვირვებელი

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	აკვირდება და ახასიათებს პერსონაჟებს ფიზიკურად	2
II	აკვირდება და ახასიათებს პერსონაჟებს დამახასიათებელი თვისებების მიხედვით	2

III	აკვირდება და წარმოაჩენს პერსონაჟების მსგავსება-განსხვავებას	3
IV	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1
V	გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ვიზუალური კონტაქტი, ჟესტი, მიმიკა და სხვა).	1
VI	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

შემმაჯამებელი

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	აჯამებს სხვადასხვა კუთხით განხილულ ნაწარმოებს	2
II	გამოკვეთს და წარმოაჩენს ძირითად სათქმელს	2
III	აჯამებს და წარმოადგენს პერსონაჟთა განვლილ გზას დასაწყისიდან ფინალამდე	3
IV	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1
V	გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ვიზუალური კონტაქტი, ჟესტი, მიმიკა და სხვა).	1
VI	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

კავშირის დამნახველი

	კრიტერიუმები	**ქულები**
I	ხედავს და გამოკვეთს ტექსტის აქტუალობას	2
II	ახასიათებს ნაწარმოებს თანამედროვეობასთან კონტექსტში	2
III	აკავშირებს ნაწარმოებში აღწერილ დროსა და თანამედროვე ეპოქას, მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე	3
IV	საუბრობს ნათლად და გარკვევით, გასაგებია აუდიტორიისთვის	1
V	გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ვიზუალური კონტაქტი, ჟესტი, მიმიკა და სხვა).	1

VI	შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგადი საკითხების განხილვას.	1

ლიტერატურა:

ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - 2018-2024: http://www.ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024.pdf

ინასარიძე მ., მ. ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, გამომცემლობა „საიმედო“, თბილისი, 2006;

პაპავა პ., თ. ჭანტურია, წიგნიერება, http://cdi.org.ge/wp-content/uploads/2012/04/189517421 თბილისი; 2012

ქიტესაშვილი ს., წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების გაუმჯობესება 55-ე საჯარო სკოლისსაბაზოსაფეხურზე, https://drive.google.com/…/1GEgjRBTmPbkS5c8HOaEANXZuc…/view…თბილისი, 2019;

ჯალიაშვილი მ. - როგორ „გავაღვიძოთ“ მოსწავლე - კრიტიკული აზროვნების ნიუანსები, ჟურნალი „მასწავლებელი“ №3, თბილისი; 2018.

Sophio Kitesashvili

Literary Circle as a Form of Complex Summative task ar promary ans Secondary School level

Abstract

The suggested activity “Literature circle” is adapted to the individual requirements of a complex summative task, taking into account the national standart, at the appropriate level.

Different levels of knowledge and abilities of the students are united in groups, but at the same time, each of them has a defined function, role. The assigment is differentiated, which an appropriate rubric. Using this method, each member of the group, taking into account his lwevel of knowledge, ability and degree of involment, is evaluated relevantly and objectively.

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა